“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი)

ძველი სპორტული მეტოქეების – მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულთა შორის. “დინამოს” ცენტრალურ სტადიონზე ათეული ათასობით მაყურებელმა მოიყარა თავი.

თბილისელები თამაშზე გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით: სანაია, ელოშვილი, რუსაძე, სარჯველაძე, მახარაძე, ნ. გაგნიძე, კოტრიკაძე, ხასაია, ჭკუასელი, ღოღობერიძე, თოდრია.

მოსკოველთა რიგებში იყვნენ: იაშინი, როდიონოვი, კრიჟევსკი, კუზნეცოვი, ბაიკოვი, სოკოლოვი, შაბროვი, მამედოვი, ბონდარენკო, ილინი, რიჟკინი. თამაშს სჯიდა საკავშირო კატეგორიის მსაჯი ბელოვი (ლენინგრადი).

მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დღეს მოსკოვში დიდი სიცხე იდგა, თამაში მაღალ ტემპში დაიწყო. თბილისელებმა თავიდანვე სწრაფი იერიშები განავითარეს. კარგა ხნის განმავლობაში მოსკოველები 5–7 მოთამაშის შემადგენლობით იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ენერგიულ დაწოლას, ხშირად უხდებოდა თამაშში ჩარევა იაშინს. ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა ჰქონდათ ჯერ კოტრიკაძეს, შემდეგ ხასაიას, მაგრამ მეკარემ ორივეჯერ ოსტატურად იხსნა კარი საფრთხისაგან. შემდგომში სტუმრების იერიშები შენელდა და მოსკოველებმა თამაში მოწინააღმდეგის ნახევარზე გადაიყვანეს. ამოქმედდნენ თბილისის გუნდის მცველები, ორი მეტად ძნელი ბურთი აიღო სანაიამ.

45 წუთის განმავლობაში მწვავე ბრძოლა მოედანზე არ დამცხრალა, მაგრამ ანგარიშის გახსნა ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო. გუნდები დასასვენებლად წავიდნენ ისე, რომ ფარებზე ორივე გუნდს ციფრი 0 ჰქონდა.

მეორე ტაიმი მძაფრი ურთიერთშეტევებით დაიწყო. ბურთი თითქმის არც ჩერდებოდა მოედნის შუაგულში, იგი სწრაფად იცვლიდა ადგილს ერთი კარიდან მეორისკენ. უკვე პირველ წუთებზე თამაშში ჩაებნენ იაშინი, რომელმაც ჭკუასელის დარტყმა აიღო და სანაია, რომელიც დროზე ჩაუხტა ფეხებში ბონდარენკოს. საერთო ინიციატივის მოპოვება კარგა ხანს ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო, ორივე გუნდის კართან მორიგეობით იქნა მოწოდებული კუთხური დარტყმა, ასევე მორიგეობით ურტყამენ კარში და აცილებენ მას თბილისელები ჭკუასელი, კოტრიკაძე და მოსკოველები ილინი, შაბროვი.

მე–15 წუთზე თბილისელებმა ხასაიას ნაცვლად ანთაძე შემოიყვანეს, ხოლო მასპინძლებმა მამედოვი მორგუნოვით შეცვალეს. დაახლოებით მე–17 წუთზე იაშინმა ღიად დატოვა კარი, მაგრამ დარტყმა აცდა კარს.

23–ე წუთზე თბილისის “დინამოს” მცველებმა შეცდომა დაუშვეს. უყურადღებოდ დატოვეს მორგუნოვი, რომელმაც გამოიყენა ეს და ანგარიში გახსნა – 1:0.

თბილისელებმა სცადეს მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ მოსკოველები ფხიზლად დარაჯობდნენ ყოველ მოთამაშეს. ღოღობერიძის ერთ–ერთი იერიში კრიჟევსკიმ ძლივს მოიგერია. ინიციატივა მასპინძლებმა აიღეს ხელთ, მათი გადაცემები უფრო ზუსტი და მოფიქრებულია, სტუმრები ხშირად კარგავდნენ ბურთს, არაზუსტად აწოდებდნენ ერთმანეთს.

გაისმა გონგის ხმა. ბურთი კიდევ ორიოდე წუთი ტრიალებდა მოსკოველთა ნახევარზე, მაგრამ ნახევარმცველმა ბაიკოვმა მოულოდნელად დატოვა თავისი ზონა,

ბურთიანად გაიჭრა წინ. თბილისელთა მცველები მას ფეხდაფეხ მისდევდნენ. ბაიკოვმა კარში დაარტყა. ბურთი ბადეში გაეხვია.

თბილისის “დინამომ” წააგო მეტად საპასუხისმგებლო მატჩი ანგარიშით – 0:2.

“ლელო”, 30 ივნისი, 1954 წ.